საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1161

ქ. თბილისი

11/12/2020

ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმასა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე რეკომენდაციის გაცემის შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმასა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე რეკომენდაციის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში (სგშ-ის ანგარიში), ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტი და არატექნიკური რეზიუმე.

ქალაქ ზუგდიდის გენერალურ გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის განცხადებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №2-389 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა, რომლითაც განისაზღვრა სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, სტრატეგიული დოკუმენტის კონცეფცია და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე საჯარო განხილვის შესახებ განცხადება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდსა და მერიის საინფორმაციო დაფაზე.

ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებით გათვალისწინებული პროცედურებისა და დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების თაობაზე.

სგშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის შესახებ, მისი მომზადების საფუძველი და მიზნები, განხორციელების არეალი.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის საერთო ფართობია 2143 ჰა. სგშ-ის ანგარიშში აღწერილია ქალაქ ზუგდიდში ქალაქთმშენებლობის დაგეგმვის კუთხით არსებული პრობლემები. ასევე წარმოდგენილია მუნიციპალიტეტში არსებული გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები მათი გავრცელების მასშტაბებით და ამ პრობლემების მოგვარების გზებით (შეთავაზებებით). ძირითადი საკითხებია: გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ნიადაგის დეგრადაცია, ნარჩენების განთავსება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, წყლის რესურსების დაბინძურება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვა.

ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის შემუშავების მიზნებია:

1. ქალაქ ზუგდიდის მდგრადი განვითარების წინაპირობების შექმნა;
2. სატრანზიტო სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედების შემცირება;
3. ადმინისტრაციულ - საზოგადოებრივი ცენტრის ფორმირება;
4. ქალაქის ცენტრალურ უბნებისა და ქუჩების განაშენიანების მოწესრიგება;
5. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დამცავი ზონების დადგენა;
6. ქალაქ ზუგდიდის საზოგადოებრივი სივრცეების დადგენა და განვითარება;
7. განაშენიანების განვითარებისათვის შეზღუდული ტერიტორიული რესურსების ფონზე მზარდი სამშენებლო საქმიანობების მართვა;
8. ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების განვითარების პრიორიტეტების დადგენა.

ქალაქი ზუგდიდის განვითარების ხედვა დოკუმენტში შემდეგ ქმედებებადაა წარმოდგენილი:

- ქალაქის განმტვირთავი გზები, მათი მნიშვნელობა და ფუნქცია;
- ქ. ზუგდიდის უბნების განვითარება და შიდასაუბნო მომსახურება (ღია სივცეები, მომსახურება, კომერციული სივრცეები);
- ახალი საცხოვრებელი უბნების განვითარება;
- მდინარის და მისი კალაპოტის მოწესრიგება, ახალი სარეკრეაციო სივრცეების შექმნა მდინარის გასწვრივ როგორც ერთიანი მწვანე დერეფანი (სარეკრეაციო ზონა ქალაქის მასშტაბში);
- ახალი სამანქანო და საფეხმავლო კავშირები, ხიდები;
- ველობილიკების და ელექტრო სკუტერების ბილიკების მოწყობა;
- ბულვარის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება და განვითარება;
- მიტოვებული სამრეწველო სივრცეების განვითარება;
- ბაზრის ტერიტორიის მოწესრიგება, ზუგდიდსა და ანაკლიას შორის მასშტაბური სავაჭრო მოლის განვითარების საკითხი;
- განათლება - ახალი სკოლები და ბაღები;
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ეკონომიკური განვითარება;
- ტურიზმის განვითარება;

დოკუმენტში ქ. ზუგდიდის განვითარების ხედვა რეგიონულ დონეზეც არის განხილული, მიმოხილულია ქალაქის მნიშვნელობა კოლხეთის დაბლობზე არსებულ დასახლებულ პუნქტებთან, აეროპორტსა და ნავსადგურებთან მიმართებაში. ასევე, განხილულია ქალაქის როლი კურორტ ცაიშთან და კოლხეთის ეროვნულ პარკთან მიმართებაში.

შემოთავაზებულია ქალაქის პოლიცენტრული განვითარება არსებული ადმინისტრაციულ უბნებში ალტერნატიული ცენტრების შექმნითა და ქვეცენტრების გამოყოფით.

ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის სატრანსპორტო ნაკადით გადატვირთვის მოსაგვარებლად განხილულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული საერთაშორისო ჩქაროსნული გზატკეცილის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც გზა შემოუვლის ქალაქს. ასევე, აღწერილია სამი არტერიული ქუჩის განვითარების ხედვა, რაც განტვირთავს ცენტრალური ნაწილის სატრანზიტო მოძრაობას. შემოთავაზებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროსადენების მიწისქვეშ განთავსება ან/და ქალაქის საზღვრებს გარეთ გატანა. ასევე, შიდასაქალაქო ელექტროსადენების მიწისქვეშა სისტემის მოწყობის შესაძლებლობის შეფასება და პროექტის შემუშავება.

სგშ-ის ანგარიშში განხილულია გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე, მათ შორის, ატმოსფერულ ჰაერზე ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის ძირითადი კონცეფციის განხორციელებით გამოწვეული ზეგავლენა, კუმულაციური ეფექტის გათვალისწინებით და განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

აღნიშნული კონცეფციის განხორციელებით მოხდება ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის ზრდა და სამრეწველო ზონების აღდგენა/განვითარება, რაც გამოიწვევს საავტომობილო ტრანსპორტიდან და სამრეწველო სექტორიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებსა და ხმაურის გავრცელებას (ხმაურის ინტენსივობის ზრდას), შესაბამისად გაიზრდება გარემოზე ზემოქმედებაც.

ამავდროულად, გეგმა ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან აქტივობებს და ღონისძიებებს, როგორიცაა საგზაო ქსელის და მოძრაობის ნაკადების ოპტიმიზაცია/განტვირთვა შემოვლითი გზის მშენებლობით; ინდუსტრიული პარკების მოწყობა შესაბამისი გარემოსდაცვითი სტანდარტების და ნორმების დაცვით, გარემოს დაბინძურების რისკის მქონე ობიექტების აღჭურვა მხოლოდ თანამედროვე ტექნოლოგიებით და დანადგარებით;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ქალაქის ოპტიმალური დაგეგმარება და სხვადასხვა სერვისებთან მოსახერხებელი მისაწვდომობა ხელს შეუწყობს გადაადგილების გამოკვეთილი იერარქიის (ფეხით მოსიარულეთა უპირატესობა) დანერგვას და ეკო-მეგობრული (ველოსიპედი და ელექტრო სკუტერი) და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს მოძრაობის განტვირთვისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების წინაპირობას.

სგშ-ის ანგარიშის თანახმად, ქ. ზუგდიდის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგია ითვალისწინებს ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებას საცხოვრებელი და მუნიციპალური შენობებისთვის, როგორიცაა ქალაქის თბომომარაგებაში განახლებადი ენერგიის (გეოთერმული ენერგია, ბიომასა, მზის ენერგია) წილის გაზრდა (ლტოლვილთა დასახლების საცხოვრებელი კორპუსები), საბავშვო ბაღებში შენობების სახურავების თბოიზოლაცია და განათების სისტემის შეცვლას ფლუორესცენტული ნათურებით (ასევე, სენსორზე მოქმედი დიოდური LED ნათურები). ენერგოეფექტური ღონისძიებების კუმულაციური ეფექტი დადებითად აისახება როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხსა და კლიმატზე, ისე გარემოზე მთლიანად.

პროექტის თანახმად პოტენციური ადგილების შესწავლის შედეგად ქალაქში გაჩნდება მიწისქვეშა და მიწისზედა საპარკინგე სივრცეები, ქალაქის შესასვლელში გამოიყო ტერიტორია სადაც შესაძლოა მოხდეს ავტოსადგურის გადატანა, რაც განტვირთავს ქალაქის ცენტრს. ყოფილი ფუნიკულიორის ტერიტორიაზე შემოთავაზებულია პანორამული ხედის ბაქნის მოწყობა და მასთან მისასვლელი საფეხმავლო და სამანქანო გზების მოწესრიგება. მდინარის პირას არსებული ბაზრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოსაწესრიგებლად წარმოდგენილია ბაზრის ტერიტორიის განვითარების სამოქმედო გეგმა.

ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმის მიხედვით, ქალაქში არსებული გამწვანებული ტერიტორიები დაყოფილია სხვადასხვა ტიპებად და მოცემულია თითოეულის განმარტება და დანიშნულება. ასევე, წარმოდგენილია ქალაქში არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლების ინდივიდუალური დამცავი ზონების და ქალაქის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის შექმნის საჭიროება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით არსებული წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

გაუნაშენიანებელი ტერიტორიები წარმოდგენილია ე.წ. სარეზერვო ტერიტორიებად. ამ სტატუსით იდენტიფიცირებულია 28 ტერიტორია და თითოეულზე შემოთავაზებულია ძირითადი სარეკომენდაციო ფუნქციები და შესაძლებლობები. აღწერილია თითოეულის ფართობი, გენერალური გეგმით დადგენილი ზონა, საკუთრების ტიპი და უბნის სახელი. გეგმაში ასევე აღწერილია ფუნქციური ზონები და მათი განვითარების პოტენციალი. სარეზერვო ტერიტორიებად წარმოდგენილია: საცხოვრებელი, შერეული, ინდუსტრიული და სპეციალური ზონები.

დოკუმენტში გამოკვეთილია ქ. ზუგდიდისთვის მდინარე ჩხოუშის მნიშვნელობა, მისი სანაპიროს ქალაქის სარეკრეაციო სივრცის სტატუსის მინიჭების პოტენციალი. რეკომენდებულია მდინარის კალაპოტში დამცავი ჯებირების მოწყობის საჭიროება. ასევე, აღნიშნულია მდინარის რეჟიმის შესწავლის აუცილებლობა ჯებირების მოწყობამდე. ანგარიშის თანახმად, ზედაპირული წყლის დამაბინძურებელი მთავარი ფაქტორებია სანიაღვრე ქსელის და კანალიზაციის გამართული სისტემის არარსებობა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქალაქ ზუგდიდში მრავლადაა ავტოსამრეცხაოები, რომელთა უმრავლესობა, ნარეცხ წყალს გაწმენდის გარეშე უშვებს სანიაღვრე ქსელში. ამის შედეგად, ნავთობპროდუქტებით და სხვა ნივთიერებებით ბინძურდება, როგორც სანიაღვრე არხები, ასევე მდინარე, სადაც სანიაღვრე არხებიდან ჩაედინება დაბინძურებული წყალი. ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით პროექტით რეკომენდებულია ავტოსამრეცხაოებში ავტომატური გამწმენდი ნაგებობების მოწყობა, რაც საგრძნობლად შეამცირებს ზედაპირული წყლის დაბინძურებას.

წყლის დაბინძურების პოტენციური წყაროები ასევე შეიძლება იყოს - სამრეწველო და სამედიცინო დაწესებულებების ჩამდინარე წყლები, არარეგისტრირებული ჩამდინარე წყლები საყოფაცხოვრებო შენობა/ნაგებობებიდან, ნარჩენებით დაბინძურება (ბაზრის ტერიტორიიდან).

ქ. ზუგდიდის საკანალიზაციო სისტემის ქსელის საერთო სიგრძე შეადგენს 65 კმ.-ს. საკანალიზაციო სისტემაში წლიურად ჩაედინება 3000 ათასი მ3 ჩამდინარე წყალი. საკანალიზაციო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ქალაქის სრულ მომსახურებას (მთლიანი მოსახლეობის 42% არაა მიერთებული კანალიზაციის ქსელთან), საჭიროებს ქსელის განახლებას და გაფართოებას. აღნიშნულ სისტემას არ გააჩნია გამწმენდი ნაგებობა.

ამჟამად ქალაქ ზუგდიდის საკანალიზაციო და სანიაღვრე წყლები ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარე ჩხოუშში. დღეისათვის ხორციელდება წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემის პროექტი, რომლიც ასევე მოიცავს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას. აღნიშნული ჩამდინარე წყლების 11056 მ3/დღღ წარმადობის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტზე გაცემულია 2016 წლის 29 თებერვლის №12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;

დოკუმენტის მიხედვით, საკანალიზაციო ქსელში ჩართული იქნება თითქმის ყველა შენობა-ნაგებობა. ახალი ქსელი შესაბამისობაში იქნება ზუგდიდის 2040 წლის მოსახლეობის პროგნოზულ რაოდენობასთან. გაწმენდილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია მდ. ჩხოუშში.

მდინარესთან დაკავშირებული სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოდერნიზაცია, ჩამდინარე წყლების მართვის საკითხების მოგვარება, მწვანე დერეფნის შექმნა მნიშვნელოვნად შეამცირებს გაუწმენდავი ჩამდინარე წყლებით ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებას.

გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისას, განხილულ იქნა შემდეგი ორი ალტერნატივა და შეფასდა მათი ზემოქმედება გარემოზე ნულოვანი/არაქმედებისა და ქმედების ალტერნატივა.

სგშ-ის ანგარიშში მითითებულია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებისას მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირებისა და კომპენსირების პროექტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში გასათვალისწინებელი საკითხები. შემოთავაზებული განვითარების ხედვების განხორციელებისას მოსალოდნელი გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასა და

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების თავიდან აცილება/შემცირებისათვის ძირითადი შემარბილებელი ღონისძიებებია:

- სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვის შემცირების მიზნით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია (ახალი ურბანული განვითარების სქემები, შიდა და შემოვლითი გზა), ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გადატვირთული მოძრაობის შემცირება და სატრანზიტო ტრანსპორტისთვის შემოვლითი გზის შემუშავება. ეს ზომები შეამცირებს ავარიების რისკს გზებზე. აუცილებელია ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის პარკირების ადგილების შექმნა, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ ნაწილში;
- მწვანე დერეფნის შექმნა, მწვანე ტერიტორიების გაფართოება, მდინარე ჩხოუშის ნაპირების დაცვა, რეკრეაციული ტერიტორიების განვითარება. ეს ქმედება ხელს შეუწყობს ბუნებრივი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას;
- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების რისკები და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც დეტალურად არის განხილული დოკუმენტში.

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პანდემიის/ეპიდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობას. დამგეგმავი ორგანოს ორგანიზებით, ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2020 წლის 3 ნოემბერს, დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

რეკომენდაციების გაცემის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილი დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გაეგზავნა ასევე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს. ამასთან, ,,ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 17 სექტემბერის N2-822 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა საექსპერტო კომისია, რომლის წევრებმა დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ წარმოადგინეს საექსპერტო დასკვნები.

საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე ან/და სგშ-ის ანგარიშზე შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში წარმოდგენილი არ ყოფილა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” 27-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის პროექტზე და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე გაიცეს შემდეგი რეკომენდაციები:

1.1. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” I ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელების შემთხვევაში, დაცული იქნეს კოდექსით დადგენილი მოთხოვნები;

1.2. სამრეწველო ზონების ფორმირებისას, მათ შორის, მიტოვებული სამრეწველო სივრცეების განვითარების პროცესში, ასევე, სარეზერვო სამრეწველო ტერიტორიების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოთხოვნები, ასევე მიტოვებული სამრეწველო სივრცეების სხვა მიზნობრიობით (დანიშნულებით) გამოყენება/განვითარება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი კვლევების, მათ შორის გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე;

1.3. ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმისა და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმისათვის, შესაბამისი კვლევების საფუძველზე, საჭიროა შემუშავდეს ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკები, არანაკლებ 1:10 000 მასშტაბში;

1.4. გეგმით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე სამუშაოების განხორციელებისას დაცული იქნას „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიას დაქვემდებარებული მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრისა და დამტკიცების წესის თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 მარტის №161 დადგენილების მოთხოვნები;

1.5. ახალგამოვლენილი, სარეკომენდაციო ძეგლების ნუსხა წარდგენილ იქნას სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში სააღრიცხვო ბარათების სახით, ფოტომასალასთან ერთად, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვის და კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში შესაბამისი ინფორმაციის განთავსების მიზნით.

2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი